

**სსიპ კოლეჯ „ოპიზარში“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე შერჩევის გზით
სწავლის უფლების მოპოვების წესი**

მუხლი 1. დებულების რეგულირების სფერო

- 1.1. აღნიშნული წესი შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/6 და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის №127/6 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ – კოლეჯ „ოპიზარის“ წესდების შესაბამისად;
- 1.2. აღნიშნული წესი არეგულირებს სსიპ კოლეჯ „ოპიზარში“ შერჩევის საფუძველზე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის წესსა და პირობებს.

მუხლი 2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისა და დაშვების წინაპირობა

- 2.1. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობა მეტია იმ აპლიკანტთა რაოდენობაზე, ვინც აირჩია ეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, აპლიკანტი დაწესებულებაში ირიცხება შერჩევის საფუძველზე, რომელიც ტარდება კოლეჯ „ოპიზარის“ მიერ განსაზღვრული წინამდებარე შერჩევის წესის საფუძველზე.
- 2.2. კოლეჯის მიერ ორგანიზებულ შერჩევაში მონაწილეობის უფლება აქვს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში რეგისტრირებულ აპლიკანტებს, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული მინიმუმ საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

- 3.1. ამ დებულების მიზნებისთვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
 - 3.1.1. **ტესტირება** – ამ წესით კოლეჯის მიერ ორგანიზებული ტესტირება აპლიკანტთა შერჩევის მიზნით;
 - 3.1.2 **აპლიკანტი** – პირი, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან მასთან გათანაბრებული

დოკუმენტი, აკმაყოფილებს პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესიის სტანდარტით/პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით დადგენილ დაშვების წინაპირობებს, პროფესიულ ტესტირებაზე გასვლის მიზნებისათვის დარეგისტრირებულია პროფესიული ტესტირების დებულებით დადგენილი წესით და სწავლის გაგრძელებას აპირებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

3.1.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი - აპლიკანტის მიერ სარეგისტრაციო განცხადებაში მითითებული იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელზეც/რომლებზეც მას სურს სწავლის გაგრძელება;

3.1.4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტი - ინტელექტუალური და განვითარების დარღვევის ან/და სენსორული (სმენისა და მხედველობის) ან/და ქცევითი და ემოციური დარღვევის ან/და ფიზიკური შეზღუდვის მქონე, ან/და სწავლის გამოხატული სირთულეების მქონე აპლიკანტი, რომლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება დასტურდება მულტიდისციპლინური გუნდის მიერ და რომელიც შესაძლოა საჭიროებდეს ტესტირების ალტერნატიული წესით ჩატარებას;

3.1.5. კონსულტაცია - აპლიკანტთა მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევაში კონსულტაციის მიზნით, კოლეჯი აცნობს აპლიკანტს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების ჩამონათვალს და კანონმდებლობით დადგენილ/კოლეჯის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს, რომლებიც უნდა დააკმაყოფილოს აპლიკანტმა მისთვის სასურველ პროგრამაზე ჩასარიცხად.

3.1.6. საპრეტენზიო კომისია - ამ წესის დადგენილი პროცედურის დარღვევის ფაქტზე წარდგენილი საპრეტენზიო განაცხადების განხილვის მიზნით, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით შექმნილი შექმნილი დროებითი კომისია.

3.1.7. საგნის/საგნების საგამოცლო ტესტი - საკითხთა ჩამონათვალი, რომლის საფუძველზეც იქმნება საგნის/საგანთა ჯგუფის ტესტი და რომელიც არ სცილდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილ მოთხოვნებს.

მუხლი 4. აპლიკანტთა შერჩევის მიზნით ტესტირების დაგეგმვა და ჩატარება

4.1. კოლეჯი აპლიკანტთა შერჩევისათვის ტესტირების დაგეგმვისა და ჩატარების მიზნით:

ა) უზრუნველყოფს აპლიკანტთა კონსულტაციას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევაში;

ბ) კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს აპლიკანტთა შერჩევის მიზნით ტესტირების ჩატარების განრიგს;

გ) გამოყოფს პასუხისმგებელ პირებს, რომლებიც აპლიკანტებს აწვდის ინფორმაციას ტესტირების დაგეგმვის, ჩატარების განრიგის, ადგილის, დროისა და თარიღის შესახებ;

- დ) გამოყოფს აპლიკანტთა შერჩევის მიზნით ტესტირების დაგეგმვისა და ჩატარებისათვის შესაბამის ფართს;
- ე) უზრუნველყოფს აპლიკანტების შერჩევის მიზნით ტესტირების ჩატარებისათვის სხვადასხვა სირთულის დავალებების შემუშავებას;
- ვ) ამ მუხლის 4.1. პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედიან კოლეჯის დირექტორის მოადგილე, კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერი, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი ან/და ხარისხის მართვის სპეციალისტი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი და პროფესიული განათლების მასწავლებლები.
- ზ) ამ მუხლის 4.1. პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით შექმნილი სამუშაო ჯგუფი, შექმნიდან გონივრულ ვადაში, აპლიკანტების ტესტირების ჩატარებისათვის ადგენს სხვადასხვა სირთულის დავალებებს, მათ შორის საგნის/საგნების საგამოცდო ტესტს;
- თ) ახორციელებს აპლიკანტების კომპიუტერული ტექნიკით უზრუნველყოფას;
- ი) კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალურ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს ტესტირების ჩატარებაზე პასუხისმგებელ კომისიას ;
- კ) კოლეჯი ვალდებულია შერჩევის თარიღი, დრო და ადგილი აცნობოს მართვის სისტემას რეგისტრაციის დასრულებიდან 2 დღის ვადაში, ხოლო შერჩევის შედეგები ტესტირების დასრულებიდან 2 დღის ვადაში ასახოს მართვის სისტემის სპეციალურ პროგრამაში;
- ლ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 5. აპლიკანტთა შერჩევის მიზნით ტესტირების მიმდინარეობა

- 5.1. აპლიკანტმა კოლეჯში ტესტირების გავლის მიზნით უნდა გაიაროს რეგისტრაცია.
- 5.2. ამ მუხლის 5.1. პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაციისას აპლიკანტი კოლეჯში წარადგენს: პირადობის (ბინადრობის) მონუმობას/პასპორტს.
- 5.3. კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალურ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს ტესტირების ჩატარებაზე პასუხისმგებელ კომისიას მინიმუმ 5 (ხუთი) წევრის შემადგენლობით.
- 5.4. კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის შემადგენლობაში შემავალი არანაკლებ 3 წევრი. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის მიცემის უფლება.
- 5.5. კომისიის წევრები ხმათა უმრავლესობით ირჩევენ კომისიის თავჯდომარეს და მდივანს.

5.6 კომისია უზრუნველყოფს ტესტირების ჩატარების პროცედურას და შედეგებს ასახავს საბოლოო შეფასების ფორმაში (დანართი N1).

5.7. კომისიის მიერ ხდება ტესტირების შედეგების განხილვა და იმ აპლიკანტების გამოვლინება, რომლებმაც გადალახეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (25%). ტესტირების შედეგები აისახება შესაბამის სხდომის ოქმში და წარედგინება კოლეჯის დირექტორს.

5.8. აპლიკანტს ტესტირების ჩატარებისა და დანიშვნის შესახებ მიეწოდება ინფორმაცია 2 დღით ადრე წერილობით ან/და ზეპირი კომუნიკაციის საშუალებით;

მუხლი 6. აპლიკანტის უფლებები და ვალდებულებები ტესტირების მიმდინარეობისას

6.1. ტესტირების მიმდინარეობისას აპლიკანტი ვალდებულია დროულად გამოცხადდეს კოლეჯში რეგისტრაციაზე და თან იქონიოს ამ წესის მე-5 მუხლის 5.2. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები.

6.2. რეგისტრაციის დასრულების შემდეგ აპლიკანტი ტესტირებაზე არ დაიშვება.

6.3. ტესტირებაზე გამოუცხადებლობა აპლიკანტს ართმევს უფლებას მოითხოვოს დამატებითი ტესტირების ჩატარება.

მუხლი 7. საპრეტენზიო კომისია

7.1. ტესტირების ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიები განიხილება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი საპრეტენზიო კომისიის მიერ, რომელიც იხილავს ტესტირების მხოლოდ პროცედურულ დარღვევებთან დაკავშირებულ პრეტენზიებს;

7.2. საპრეტენზიო კომისიის სხდომას იწვევს და სხდომას უძღვება საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარე, ხოლო აღნიშნული კომისიის თავმჯდომარის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში მის ფუნქციებს ასრულებს მისი მოადგილე.

7.3. საპრეტენზიო კომისია პრეტენზიებთან დაკავშირებით გადანყვეტილებას იღებს 5 (ხუთი) დღის ვადაში.

7.4. საპრეტენზიო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა. საპრეტენზიო კომისიის გადანყვეტილებები მიიღება კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით.

7.5. საპრეტენზიო კომისიის სხდომაზე მიიღება კომისიის გადანყვეტილება, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე.

7.6. საპრეტენზიო კომისიის მდივანი აირჩევა კომისიის სხდომაზე, კომისიის წევრებიდან.

მუხლი 8. ტესტირების პროცედურული დარღვევების გასაჩივრება

8.1. ტესტირების პროცედურის დადგენილი წესის დარღვევის ფაქტის თაობაზე აპლიკანტი უფლებამოსილია, საპრეტენზიო განაცხადი შეიტანოს კოლეჯში, ტესტირების დღეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის არ განიხილება.

8.2. პრეტენზიის წარდგენისას აპლიკანტმა თან უნდა იქონიოს დაბადების/პირადობის მოწმობა/პასპორტი

8.3. . ტესტირების პროცედურის დადგენილი წესის დარღვევის ფაქტის თაობაზე წარდგენილი პრეტენზია შეიძლება ეხებოდეს პრეტენზიის წარმდგენი აპლიკანტის უფლებების დარღვევას ტესტირების სხვა მონაწილის მიერ;

8.4. კოლეჯი საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილებას ორი დღის ვადაში აცნობებს აპლიკანტს.

მუხლი 9. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ტესტირების პროცედურაში მონაწილეობის უფლება

9.1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტისთვის ალტერნატიული წესით ტესტირების საჭიროება და ტესტირებაში მონაწილეობის მიღების უფლება წარმოიშობა მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე.

9.2. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ტესტირებაში მონაწილეობის უფლება რეგულირდება „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბერის №152/ნ ბრძანებით დადგენილი წესით.

მუხლი 10. პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვა

10.1. კოლეჯის მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩატარებული შერჩევის საფუძველზე, აპლიკანტი მოიპოვებს რა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლებას, აპლიკანტი კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ირიცხება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

10.2. არაუგვიანეს ტესტირების ჩატარებიდან 2 (ორი) დღისა, კოლეჯი უზრუნველყოფს შერჩევის შედეგების ასახვას მართვის სისტემის სპეციალურ პროგრამაში, ხოლო აპლიკანტთა ჩარიცხვის შესახებ ინფორმაციას ასახავს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანების 27-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 11. დასკვნითი დებულება

11.1 წინამდებარე წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

დანართი N1

სსიპ კოლეჯი „ოპიზარი“

აპლიკანტების საბოლოო შერჩევის/შეფასების ფორმა
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე

პროგრამის დასახელება:-----

პროგრამის კოდი:-----

თარიღი:-----

დრო და ადგილი:-----

შერჩევის/შეფასების ფორმა/მეთოდი:-----

N	აპლიკანტის სახელი, გვარი	პირადი ნომერი	რეიტინგული ქულა
1.			
2.			
3.			
4.			

კომისიის თავჯდომარე: /სახელი,გვარი/

კომისიის წევრები: /სახელი,გვარი/

კომისიის წევრები: /სახელი,გვარი/